

**ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.**

საქართველო არის სუვერენული, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო და მის ტერიტორიაზე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს შეიარებული ძალების ყოფნა სახელმწიფოს მკაფიოდ და ნებაყოფლობით განცხადებული თანხმობის გარეშე, 1907 წლის ჰააგის რეგულაციების, 1949 წლის ჟენევის IV კონვენციისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების შესაბამისად, არის სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის უკანონო სამხედრო ოკუპაცია.

**კანონის მიზანი**


განსაზღვროს იმ ტერიტორიების სტატუსი, რომლებიც ოკუპირებულია (ევროპარლამენტის 2011 წლის 18 ნოემბრის რეზოლუცია საქართველოზე / აშშ-ის სენატის 2011 წლის 30 ივლისის „რეზოლუცია S. RES. 175“ საქართველოს ოკუპაციის შესახებ ) რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად, დაადგინოს ამ ტერიტორიების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი.

**საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია**

საქართველოს კანონის „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში მიმართოს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ყველა მექანიზმს - საქართველოს კანონიერი ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოს ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება - ამ კანონის მოთხოვნათა დამრღვევი პირის მიმართ ამავე, სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი, შესაბამისი სანქციების გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით.


**ოკუპირებული ტერიტორიები**



- 1) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიები.
- 2) ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები).
- 3) შავ ზღვაზე: რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის, მდინარე ფსოუდან, სამხრეთით, მდინარე ენგურის შავ ზღვასთან ჩადინების ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ მიმდებარე საზღვაო აკვატორიაში შემავალი საქართველოს შიდა წყლები და ტერიტორიული ზღვა, მათი ფსკერი და წიაღი.
- 4) 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებიდან გამომდინარე, საჩხერის რაიონის სოფელი პერევი, ქურთა, ერედვი, აჟარის მუნიციპალიტეტების და ახალგორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიები.
- 5) ჩამოთვლილი ტერიტორიების ზემოთ არსებული საჰაერო სივრცე.



ამ ტერიტორიებზე ვრცელდება საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი, აგრეთვე განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რაც გულისხმობს შეზღუდვებს - ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფლად გადაადგილების, ამ კანონით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გარიგების დადებისა და კანონით განსაზღვრული სხვა საკითხების შესახებ.



**თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე**

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის ოკუპირებული ტერიტორიებზე შესვლა დაშვებულია მხოლოდ:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიმართულებით;

ბ) ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე) - გორის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან.

ყველა სხვა მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის აკრძალულია და **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე** ისჯება - ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ორიდან ოთხ წლამდე.

იგივე ქმედება ჩადენილი:

ჯგუფურად ,

არაერთგზის,

ძალადობით ან ძალადობის მუქარით,

ასეთი დანაშაულისთვის მსჯავრდებულის მიერ,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით, სამიდან ხუთ წლამდე.


**პირები, რომლებიც თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან**

უცხო ქვეყნის მოქალაქეები/მოქალაქეების არმქონე პირები, რომლებიც თავშესაფარს სთხოვენ საქართველოს და მათი ქმედებები არ შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს;

პირები, რომლებიც გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი;

პირები, რომლებიც ახორციელებენ ჰუმანიტარულ დახმარებას;

პირები, რომლებზეც გაცემულია პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი.



თუ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს: კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას, დეოკუპაციას, ომით დაზარალებულ მოსახლეობას, შორის ნდობის აღდგენას ან ჰუმანიტარულ მიზნებს, მაშინ საქართველოს მთავრობას შეუძლია გასცეს ნებართვა, აკრძალული მიმართულებიდან შესვლის შესახებ.